

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 18

10 სექტემბერი 2016 წელი

ქ. ბათუმი
12⁰⁰ საათი.

სხდომას თავმჯდომარეობდა უმაღლესი საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე პარმენ ჯალალონია.

სხდომას ესწრებოდნენ: გუგული დუაძე, სოფიო კახაძე, ზურაბ გოლიაძე, რამაზ გოლომანიძე, თორნიკე მჭავანაძე, მაკა ლომაძე, შორენა ჭალაღიძე, მამუკა ჯაში, ნუგზარ ბაჯელიძე, ირაკლი გვარამია, მამუკა კოპალეიშვილი და კახაბერ ჯაიანი.

აგრეთვე ესწრებოდნენ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის დამკვირვებლები, საარჩევნო სუბიექტის და მასმედიის წარმომადგენლები.

მოისმინეს: სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, სხდომა გახსნილად გამოაცხადა, კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი.

დღის წესრიგის პროექტი:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ;

2. სხვადასხვა.

აზრი გამოთქვას: კომისიის წევრებს შენიშვნები არ გამოუთქვამთ.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ კენჭისყრაზე დააყენა წინადადება დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტის დამტკიცების შესახებ.

მომხრე 13;

წინააღმდეგი 0;

(კენჭისყრას ესწრებოდა კომისიის 13 წევრი:)

დღის წესრიგი დამტკიცდა შემდეგი სახით:

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ;

1. განკარგულება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის შესახებ;

მოისმინეს:

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ კომისიის წევრებს წარუდგინა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებობის არჩევის შესახებ განკარგულების პროექტი და აღნიშნა, რომ თითოეულ კანდიდატს სახელობითი კენჭისყრით კენჭი ეყრება ცალ-ცალკე, უსკოს წარმომადგენლების არჩევა მოხდება სხდომაზე დამსწრეთა ურავლესობით მაგრამ არანაკლებ სრული შემადგენლობის ერთი მესამედისა.

აზრი გამოთქვას:

თორნიკე მჭავანაძემ და პარმენ ჯალაღონიამ.

კომისიის წევრმა თორნიკე მჭავანაძემ აღნიშნა, რომ ვინაიდან უსკოს წარმომადგენლობის კანდიდატების მსურველებს მიეცათ არასაკმარისი დრო საბუთების წარმოსადგენად უნდა გაგრძელებულიყო საბუთების მიღების ვადა და შემდგომში მომხდარიყო მათი არჩევა. ასევე აღნიშნა, რომ თუ კენჭისყრა გაიმართებოდა მოცემულ სხდომაზე ის არ მიიღებდა მონაწილეობას კენჭისყრის პროცესში, რადგანაც მიაჩნია, რომ უსკოს წარმომადგენლების კანდიდატების მსურველებს ქონდათ ძალიან ცოტა დრო საბუთების წარდგენისათვის შესაბამისად, კონკურენციაც ნაკლებია.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალაღონიამ აღნიშნა, რომ ამ საკითხზე მსჯელობა შეუძლებელია ვინაიდან საბუთების შემოტანის ვადა ამოიწურა და უსკოს 05/09/16

N34 განკარგულების (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ) შესაბამისად, უსკოს წარმომადგენლების არჩევა უნდა მოხდეს უსკოს მიერ სახელობითი კენჭისყრით.

კომისიის წევრებმა, №79 ბათუმის, N81 ქობულეთის, N83 ხელვაჩაურის, N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების კანდიდატურებს საკონკურსო დოკუმენტაციის საფუძველზე, სახელობითი კენჭისყრით, ცალ-ცალკე უყარეს კენჭი.

სახელობითი კენჭისყრის შედეგად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებად არჩეული იქნენ:

N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიაში - ლევან დუაძე და რუსუდან ბერიძე;
N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისიაში - გიორგი ჩავლეიშვილი;
N83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისიაში - ნარგიზ ძირკვაძე;
N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისიაში - ასმათ ბოლქვაძე და შორენა ბოლქვაძე.

სახელობითი კენჭისყრის შედეგები თან ერთვის (იხ. დანართი).

განკარგულება მიღებულია:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „შ“ ქვეპუნქტის, 73-ე მუხლის მე-5 პუნქტის, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 05 სექტემბრის N34 განკარგულების შესაბამისად, უმაღლესი საარჩევნო კომისია ადგენს:

1. არჩეული იქნა უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებად, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიებსა და მათ შემადგენლობაში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიებში:

ა) ლევან დუაძე N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია;

ბ) რუსუდან ბერიძე N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისია;

გ) გიორგი ჩავლეიშვილი N81 ქობულეთის საოლქო საარჩევნო კომისია;

დ) ნარგიზ ძირკვაძე N83 ხელვაჩაურის საოლქო საარჩევნო კომისია;

ე) ასმათ ბოლქვაძე N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისია;

ვ) შორენა ბოლქვაძე N84 ხულოს საოლქო საარჩევნო კომისია.

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით არჩეულ უსკოს წარმომადგენლების დაფინანსების ოდენობა, უფლებამოსილებები და ვალდებულებები განისაზღვრება „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნებისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლების არჩევის, დაფინანსების წესისა და უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ“ უმაღლესი საარჩევნო კომისიის 2016 წლის 05 სექტემბრის N34 განკარგულების შესაბამისად.

3. დაევალოს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საარჩევნო კომისიის აპარატის კომპიუტერული უზრუნველყოფის სამსახურს (ამირან ჯინჭარაძე), უმაღლესი საარჩევნო კომისიის წარმომადგენლებზე სათანადო მოწმობების გაცემა.

4. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი მიღებიდან 2 (ორი) კალენდარული დღის ვადაში.

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე.
(თან ერთვის)

ინფორმაცია.

კომისიის წევრმა კახაბერ ჯაიანმა აღნიშნა, რომ ესწრებოდა N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომას, როგორც უსკოს წევრი, სადაც განიხილებოდა ერთერთი საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლის საჩივარი, სხდომის მსვლელობისას ითხოვა თავისი აზრი გამოეთქვა განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა N79 ბათუმის ოლქის თავმჯდომარემ ამის შესაძლებლობა არ მისცა. კახაბერ ჯაიანმა ითხოვა N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის უსკოში დაბარება და განმარტების მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ პარმენ ჯალალონიამ აღნიშნა, რომ პირადად დაელაპარაკებოდა N79 ბათუმის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ასევე მიაჩნია, რომ უმაღლესი საარჩევნო კომისიის წევრს უნდა ეძლეოდეს შესაძლებლობა საოლქო საარჩევნო კომისიის სხდომაზე დააფიქსიროს თავისი მოსაზრება თუმცა ხელი არ უნდა შეუშალოს თავისი ქმედებით კომისიის საქმიანობას.

სხდომაზე სხვა განსახილველი საკითხები არ წამოჭრილა.

სხდომის თავმჯდომარემ, პარმენ ჯალალონიამ, სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

პარმენ ჯალალონია

კომისიის მდივანი

სოფიო კახაძე